თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

მედიახელოვნების ფაკულტეტის აკრედიტებული ქართულ და ინგლისურენოვანი

სადოქტორო პროგრამები - მედიახელოვნება/ციფრული მედია;

Media Art/ Digital Media

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

მედიახელოვნება/ციფრული მედია

MediAarts/Digital Media

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:
დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

PHD - 0211.1.6 მედიახელოვნება/ციფრული მედია
პროგრამის ხელმძღვანელები:
კარლ სტოკერი-პროფესორი, დოქტორი, FH JOANNEUM-ის დიზაინისა და
კომუნიკაციის ინსტიტუტის ხელმძღვანელი -
გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი გრაცში, ავსტრია.
ნანა იაშვილი-პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი;
სწავლის ხანგრძლივობა:
3-5 წელი.
სწავლების ენა:
პროგრამა განხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენაზე
პროგრამის მოცულობა: **20 ECTS**
საგანმანათებლო პროგრამაზე დაიშვება:

- თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს;
- ციფრული მედიახელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით;
- ციფრული მედიახელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.
- 3 წლის სამუშაო გამოცდილება (შრომითი ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი. უპირატესობა მიენიჭება სამუშაო გამოცდილებას შესაბამის დარგში);

- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B II დონე. გამოცდის ფორმატი დეტალურად არის აღწერილი თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში, მუხლი 5.2
- პრეზენტაცია და სამოტივაციო წერილი - ფორმატი დეტალურად არის აღწერილი თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში, მუხლი 5.3
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა;
- დამატებით ვიზუალური მასალა (პორტფოლიო), რომელიც მიაჩნია საკუთარი კომპეტენციიის დამადასტურებლად.
- პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც აპლიკანტებისათის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით www.art.edu.ge.

პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამის *მედიახელოვნება/ციფრული მედია* ამ სფეროს კვალიფიციური ხელოვანების, მკვლევარების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მომავალი პროფესორების აღზრდა წარმოადგენს, რომელსაც შეეძლება:

R-Research/კვლევა - მედიახელოვნების სფეროში თანამედროვე მოთხოვნების დონეზე სამეცნიერო-ანალიზური **კვლევების** წარმართვა;

1. **C-Creative/შემოქმედება-** მედიახელოვნების სფეროში თანამედროვე მოთხოვნების დონეზე **სამეცნიერო-შემოქმედებითი** საქმიანობის წარმართვა;

2. **E-Experiment/ექსპერიმენტი** - **ექსპერიმენტულ** - **შემოქმედებითი** პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, შესწავლა, გაანალიზება, დასაბუთებული დასკვნების გამოტანა, მათ შესახებ ობიექტური მსჯელობა და გადაწყვეტის გზებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემოთავაზება;

3. **P-Practice/პრაქტიკა** - მედიახელოვნების კონტექსტში ტექნოლოგიური და გრაფიკული მოდელირების პროცესების გააზრება და ამ სფეროში უახლესი და ღრმა ცოდნის შეძენა, **პრაქტიკული** უნარების გამომუშავება;

4. **L-Lessoning**/ გაკვეთილი - შესაბამისი მიმართულებით **პედაგოგიური** მუშაობა: ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობა.

შესაბამისი მიმართულებებით **პედაგოგიური** მუშაობა: ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობა.

მკვლევარს/შემოქმედს ჩამოუყალიბდება ანალიზური და ლოგიკური აზროვნების უნარი; მედიახელოვნების სფეროში ახლებური, რთული და საკამათო პრობლემების და მიდგომების კრიტიკული ანალიზის და შეფასების უნარი; ის შეძლებს მოპოვებული მონაცემების ინტერპრეტირებას ვიზუალიზაციის პოზიციებიდან, გრაფიკულ დისციპლინათა გეომეტრიული შინაარსის სამეცნიერო-კვლევითი პროცესების კვლევას, ანალიზს და პროგნოზირებას; შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებასა და პრობლემების პრიორიტეტულობის იერარქიის წარმოდგენას; ამა თუ იმ მედიახელოვნების პრობლემის გადასაჭრელად არგუმენტირებული და ეფექტური გადაწყვეტილების

დამოუკიდებლად მიღებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებას და მისი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებასა და პრაქტიკული მოსაზრებების შემუშავებას.

სწავლის შედეგები:

დოქტორანტი შეძლებს, შეძენილი ცოდნის საფუძველზე, მედიახელოვნების კონტექსტში მიმდინარე პროცესების, მოვლენებისა და ხდომილებების **კვლევას,** ახლებურად გაცნობიერებასა და შეფასებას მაღალკვალიფიციური მულტიმედიური პროდუქტის შესაქმნელად;

პროგრამის ანოტაცია:

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისაგან. იგი მიმართულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევითობისა და სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაციის საფუძველზე პერსონალური სამუშაო გამოცდილების უნარჩვევების შეძენისაკენ.

პროგრამის განმახორციელებლები			
PHD- მედიახელოვნება/ციფრული მედია			
№	სახელი და გვარი	სტატუსი	დისციპლინის დასახელება
1	კარლ სტოკერი ნანა იაშვილი,	პროგრამის ხელმძღვანელები დოქტორი, FH JOANNEUM-ის დიზაინისა და კომუნიკაციის ინსტიტუტის ხელმძღვანელი - გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი გრაცში, ავსტრია. არქიტექტურის დოქტორი, თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის პროფესორი, ტენუარი, პროგრამის ხელმძღვანელი, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი	თანამედროვე ციფრული მედიახელოვნების კვლევითი მეთოდები/პედაგოგიური პრაქტიკა
2	ლუკა მიქელაძე	მედიახელოვნების დოქტორი, თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები
4	რუსუდან ერისთავი	მედიახელოვნების დოქტორი, თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის პროფესორი	მედიაკლასტერი 2D კომპიუტერული გრაფიკის ბაზაზე
5	ლუკა მიქელაძე	მედიახელოვნების დოქტორი, თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	მედიაკლასტერი 3D კომპიუტერული გრაფიკის ბაზაზე
6	ნინო წითლანაძე	დოქტორი, მოწვეული პედაგოგი	კულტურის მარკეტინგი